საქართველოს მთავრობა

საქართველოს პრეზიდენტს

გიგზავნით საქართველოს მთავრობის განკარგულებას „2023 წლის 17-19 აპრილს საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

N11145
13.04.2023

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N698 2023 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

2023 წლის 17-19 აპრილს საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს თანხმობა ევროპარლამენტის პრეზიდენტის რობერტა მეცოლას მიწვევის საფუძველზე, 2023 წლის 17-19 აპრილს საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტრასბურგში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ 2023 წლის 12 აპრილის №2519 წერილით წარმოდგენილ წინადადებაზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000012028257423

№2520
12 / აპრილი / 2023 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე განსახილველად, მთავრობის თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას, 2023 წლის 17-19 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებით.

ევროპარლამენტის პრეზიდენტის რობერტა მეცოლას მოწვევით, 2023 წლის 18 აპრილს ქალაქ სტრასბურგში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ევროპარლამენტში. ასევე, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა ევროკომისიის პრეზიდენტთან ურსულა ფონ დერ ლაიენთან.

ამასთან, გთხოვთ, რეაგირების გარეშე დატოვოთ საქართველოს პრეზიდენტის 2023 წლის 6 აპრილის N2381 წერილი.

დანართი: 1 გვერდი

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი
გიორგი მსხილაძე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 10934
12 04 2023
2 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს მთავრობას

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ წინადადებას 2023 წლის 17-19 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებით.

ევროპარლამენტის პრეზიდენტის რობერტა მეცოლას მოწვევით, 2023 წლის 18 აპრილს ქალაქ სტრასბურგში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ევროპარლამენტში. ასევე, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა ევროკომისიის პრეზიდენტთან ურსულა ფონ დერ ლაიენთან.

ამასთან, გთხოვთ, რეაგირების გარეშე დატოვოთ საქართველოს პრეზიდენტის 2023 წლის 6 აპრილის N2381 წერილი.

სალომე ზურაბიშვილი

N2519
12.04.2023